განათლების საერთაშორისო სტანდარტი 6

საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული კომპეტენტურობის შეფასება (2015)

შინაარსი

პუნქტები

შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო 1-5

ძალაში შესვლის თარიღი 6

მიზანი 7

მოთხოვნები

პროფესიული კომპტენტურობის ფორმალური შეფასება 8

შეფასების პრინციპები..... 9

შემოწმებადი მტკიცებულებები 10

ახსნა-განმარტებითი მასალა

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო ა1–ა3

მიზანი ა4

პროფესიული კომპტენტურობის ფორმალური შეფასება ა5-ა8

შეფასების პრინციპები..... ა9-ა20

შემოწმებადი მტკიცებულებები ა21-ა22

შესავალი
სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები ა1–ა3)

1. წინამდებარე განათლების საერთაშორისო სტანდარტი (გსს) ადგენს მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების პროფესიული კომპეტენტურობის შეფასებისთვის, რომელიც შეძენილი უნდა ჰქონდეს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას.

2. სტანდარტი განკუთვნილია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) წევრი ორგანიზაციებისთვის. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ შეაფასონ, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას შეძენილი აქვს თუ არა პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონე. გარდა ამისა, ეს სტანდარტი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სასწავლო დაწესებულებების, დამსაქმებელი ორგანიზაციების, მარეგულირებელი ორგანოების, სახელმწიფო უწყებებისა და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული მხარისთვის, რომელიც მატერიალურად უწყობს ხელს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების სწავლებასა და განვითარებას.

3. განათლების საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში შეფასება გულისხმობს სწავლისა და განვითარების მეშვეობით შეძენილი პროფესიული კომპეტენტურობის შეფასებას. საწყისი პროფესიული განვითარება არის სწავლისა და განვითარების პროცესი, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები, უპირველეს ყოვლისა, ეუფლებიან კომპეტენტურობის იმ დონეს, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად. თუმცა, სწავლა და განვითარება პროფესიული კომპეტენტურობის შეძენისა და შენარჩუნების პერმანენტული პროცესია, რომელიც გრძელდება პროფესიონალი ბუღალტრის მთელი კარიერის მანძილზე, მაშასადამე, გრძელდება უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის მეშვეობით. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში აქცენტი გადატანილია პროფესიული კომპეტენტურობის დაუფლებაზე, ხოლო უწყვეტი პროფესიული განვითარების ფარგლებში კი პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

4. წინამდებარე სტანდარტი მოთხოვნებს ადგენს პროფესიული კომპეტენტურობის შეფასებისთვის, ხოლო:

   - გსს 2 – *„საწყისი პროფესიული განვითარება – ტექნიკური კომპეტენტურობა (2015)“, გსს 3 – „ საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული უნარები (2015)“* და *გსს 4 –„საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა (2015)“* – შეფასების მოთხოვნებს ამ სტანდარტების შესაფერისი სფეროებისთვის; და
   - გსს 5 – „საწყისი პროფესიული განვითარება – პრაქტიკული გამოცდილება (2015) ადგენს მოთხოვნებს პრაქტიკული გამოცდილების შეფასებისთვის.

5. წინამდებარე სტანდარტსა და *პროფესიონალი ბუღალტრებისა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების განათლების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებში* (2015) გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებები მოცემულია ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებულ *ტერმინების გლოსარში* (2015)

ძალაში შესვლის თარიღი

6. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის 2015 წლის 1 ივლისიდან.

მიზანი (იხ. პუნქტი ა4)

7. ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეაფასოს, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას შეძენილი აქვს თუ არა პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონე, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად.

მოთხოვნები

პროფესიული კომპეტენტურობის ფორმალური შეფასება (იხ. პუნქტები ა5-ა8)

8. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ვადის განმავლობაში ჩატარებული შეფასების სხვადასხვა პროცედურის შედეგების საფუძველზე, ფორმალურად უნდა შეაფასონ, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას შეძენილი აქვს თუ არა პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონე.

შეფასების პრინციპები (იხ. პუნქტები ა9-ა20)

9. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა, პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების ფარგლებში, უნდა შეიმუშაონ შეფასების სათანადო სისტემა (პროცედურები), რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება მაღალი დონის საიმედოობა, ადეკვატურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საკმარისობა.

შემოწმებადი მტკიცებულებები (იხ. ა21-ა22)

10. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების მიერ შეძენილი პროფესიული კომპეტენტურობა უნდა შეაფასონ შემოწმებადი მტკიცებულებების საფუძველზე.

ახსნა-განმარტებითი მასალა

სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. 1-5 პუნქტები)

ა1. პროფესიული კომპეტენტურობის ტერმინის დახასიათება და კლასიფიცირება შესაძლებელია მრავალნაირად. განათლების საერთაშორისო სტანდარტებში პროფესიული კომპეტენტურობა აღნიშნავს გარკვეული სტანდარტებით განსაზღვრული როლის შესრულების უნარს. პროფესიული კომპეტენტურობა მოიცავს ტექნიკურ კომპეტენციას, პროფესიულ უნარებს, პროფესიულ ფასეულობებს, ეთიკისა და ქცევის ნორმებს. პროფესიული კომპეტენტურობის თითოეული სფერო დეტალურად აღწერილია შესაბამისი სტანდარტის სწავლის შედეგების დახასიათებაში.

ა2. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების მიერ შეძენილი პროფესიული კომპეტენტურობის დონის შეფასება შეუძლიათ ფართო სპექტრის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას, დამსაქმებლებს, მარეგულირებელ ორგანოებს, ლიცენზიის გამცემ ორგანოებს, უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, კოლეჯებსა და განათლების პროგრამების დამოუკიდებელ პროვაიდერებს. მართალია, საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების კომპეტენტურობის შეფასების პასუხისმგებლობა ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს აკისრიათ, მაგრამ ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც შეუძლიათ.

ა3. პროფესიონალი ბუღალტრები მთელი ცხოვრების მანძილზე აგრძელებენ სწავლას, რათა განივითარონ და შეინარჩუნონ პროფესიული კომპეტენტურობის ისეთი დონე, რაც აუცილებელია მათი როლის/ფუნქციების შესასრულებლად საწყისი პროფესიული განვითარების ეტაპზე. სამუშაო გარემოს შეცვლა, კარიერული წინსვლა, თუ ახალი ფუნქციების შესრულება აუცილებლად მოითხოვს, რომ პროფესიონალმა ბუღალტრებმა აიმაღლონ პროფესიული კომპეტენტურობის დონე და ახალ სფეროებში შეიძინონ კომპეტენტურობა. ამ საკითხებს ეხება გსს 7 – „*უწყვეტი პროფესიული განვითარება*“ (2014).

მიზანი (იხ. მე-7 პუნქტი)

ა4. იმის შეფასება, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატმა შეიძინა თუ არა პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონე, რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველი, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დაცული საზოგადოებრივი ინტერესები და ამაღლებდა პროფესიის მიმართ საზოგადოების ნდობა, როდესაც პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესრულების უფლება მხოლოდ იმ პიროვნებებს ექნებათ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიის კომპეტენტურობის მოთხოვნებს. მეორე, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებსა და მარეგულირებელ ორგანოებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფაზე, რომ პროფესიონალ ბუღალტრებს ჰქონდეთ ისეთი დონის კომპეტენტურობა, როგორსაც მოელის მათგან საზოგადოება, დამსაქმებლები და დამკვეთები. მესამე, პროფესიონალ ბუღალტრებს ექნებათ მუდმივი ვალდებულება, შეინარჩუნონ პროფესიული კომპეტენტურობის ისეთი დონე, რომ დამკვეთებს, დამსაქმებლებსა და შესაბამის დაინტერესებული მხარეებს გაუწიონ კომპეტენტური პროფესიული მომსახურება.[1]

პროფესიული კომპეტენტურობის ფორმალური შეფასება (იხ. მე-8 პუნქტი)

ა5. იმისთვის, რომ ფორმალურად შეაფასოს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატის მიერ შეძენილი პროფესიული კომპეტენტურობის დონე, ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას შეუძლია დაეყრდნოს ერთ ან რამდენიმე შეფასების პროცედურის შედეგს, რომელიც ჩატარდა საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის პერიოდის განმავლობაში. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის პერიოდში შესრულებული შეფასების პროცედურები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს და, სხვასთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად შემდეგი ტიპის პროცედურებს:

ა) ერთი მრავალსაგნობრივი გამოცდა, რომელიც ტარდება საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას;

ბ) რამდენიმე გამოცდა, პროფესიული კომპეტენტურობის ცალკეული სფეროს მიხედვით, რომ-ლებიც ჩატარდება საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის პერიოდის განმავლობაში; ან

გ) რამდენიმე გამოცდის ჩატარება და სამუშაო ადგილებზე შეფასებები, რაც განხორციელდება საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის პერიოდის განმავლობაში.

ა6. შეფასების პროცესი არის პროცედურა (მეთოდი), რომელიც განკუთვნილია პროფესიული კომპეტენტურობის ცალკეული სფეროს შესაფასებლად. საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ვადის განმავლობაში ჩასატარებელი შეფასების პროცედურის შერჩევა შესაძლებელია შესაფასებელი პროფესიული კომპეტენტურობის კონკრეტული ასპექტის გათვალისწინებით. ამგვარ მეთოდებს, სხვასთან ერთად, მიეკუთვნება მაგალიტად:

ა) წერითი გამოცდები;

ბ) ზეპირი გამოცდები;

1. შესავალი და ძირითადი პრინციპები, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის.*

გ) საგნობრივი/თემატური ტესტირება;

დ) ავტომატიზებული (ელექტრონული) ტესტირება;

ე) დამსაქმებლების მიერ სამუშაო ადგილზე ჩატარებული კომპეტენტურობის შეფასება;

ვ) პირადი პორტფოლიოს მტკიცებულებების მიმოხილვა, რომლებიც ეხება სამუშაო ადგილზე შესრულებულ სამუშაოს.

ა7. შეფასების პროცედურის (მეთოდის) შერჩევაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ბსფ-ის თითოეული წევრი ორგანიზაციის კონკრეტულმა გარემო-პირობებმა, რაც, სხვასთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ფაქტორებს:

ა) პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა – სიშორე და რაოდენობა;

ბ) ბსფ-ის წევრი ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო და სხვა რესურსები;

გ) შესაფასებელი პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების რაოდენობა და განათლების დონე; და

დ) დამსაქმებელების საგანმანათლებლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაძლებლობები, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების სწავლისა და განვითარებისთვის.

ა8. პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შეძენილი/დაუფლებული პროფესიული კომპეტენტურობის დონის დასადგენად, სხვასთან ერთად, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შესრულებული დავალებების სირთულე და მრავალფეროვნება;

ბ) დაინტერესებულ მხარეთა (მაგალითად საზოგადოების, დამსაქმებლებისა და მარეგულირებელი ორგანოების) მოლოდინები, რაც ეხება პროფესიული კომპეტენტურობის კონკრეტულ სფეროსა და დონეს;

გ) სპეციალიზებული ცოდნა, რაც მოეთხოვებათ კონკრეტულ დარგში/სფეროში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტრებს;

დ) რა დონის პროფესიული განსჯა ესაჭიროება დაკავებული თანამდებობის შესაფერისი ფუნქციების ან დავალების შესრულებას;

ე) პროფესიონალი ბუღალტრების ფუნქციების მრავალფეროვნება, როგორიცაა, მაგალითად ფინანსური ანგარიშგების მომზადება, საგადასახადო საკითხების კონსულტანტი, ან მმართველობითი აღრიცხვის ბუღალტერი; და

ვ) სამუშაო გარემოს სირთულე.

შეფასების პრინციპები (იხ. მე-9 პუნქტი)

ა9. პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამები იმისთვისაა განკუთვნილი, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს დაეხმაროს სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის დაუფლებაში საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს. ამგვარი პროგრამები შეიძლება მოიცავდეს ფორმალურ განათლებას, რომლის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტების, სხვა უმაღლესი სასწავლებლების, ბსფ-ის წევრი ორგანიზაციებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული კვალიფიკაციებისა (ხარისხების) და კურსების მეშვეობით, ასევე სამუშაო ადგილებზე სწავლებით. ამგვარად, შესაძლებელია, რომ პროფესიონალი ბუღალტრების განათლების პროგრამების მოდელში, საწყისი

პროფესიული განვითარების ეტაპზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი ჰქონდეთ ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების გარდა სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც.

ა10. შეფასების პრინციპები ეხება ცალკეულ შეფასების პროცედურას (მეთოდს), რომელიც ტარდება საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის პერიოდის განმავლობაში. თუმცა, შეიძლება ყოველთვის არ იყოს შესაძლებელი მაღალი დონის საიმედოობის, ადეკვატურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საკმარისობის მიღწევა თითოეული ცალკეული შეფასების პროცედურის გამოყენებაში.

ა11. შეფასების პროცესს/მეთოდს მაშინ გააჩნია მაღალი დონის საიმედოობა, თუ ერთსა და იმავე გარემოებებში მისი გამოყენებით მუდმივად ერთი და იგივე შედეგი მიიღება. საიმედოობა არ არის აბსოლუტური საზომი და შეფასების სხვადასხვა მეთოდისთვის შეიძლება განსხვავებული დონის საიმედოობა იყოს დამახასიათებელი. შეფასების მეთოდს მაშინ გააჩნია მაღალი დონის საიმედოობა, თუ დამოუკიდებლად მომუშავე შემფასებლების უმრავლესობა, ერთსა და იმავე გარემოებებში, მუდმივად ერთსა და იმავე დასკვნას/გადაწყვეტიოლებას მიიღებს.

ა12. შეფასების პროცესების/მეთოდების საიმედოობის ამაღლება მრავალი გზით შეიძლება, მათ შორის:

ა) წერითი გამოცდის საიმედოობა ამაღლდება, თუ საგამოცდო კითხვებსა და ინსტრუქციებში არ იარსებებს ორაზროვანი (ბუნდოვანი) ფორმულირებები (ტექსტი);

ბ) საგნობრივი/თემატური ტესტირების საიმედოობა ამაღლდება, თუ ტესტის საბოლოო სახის მიცემამდე ჩატარდება მისი შინაარსის შიდა ან გარე მიმოხილვა; და

გ) სამუშაო ადგილზე შეფასების საიმედოობა ამაღლდება, თუ ისეთი შემფასებლები იქნებიან შერჩეული, რომლებსაც სათანადო უნარი/შესაძლებელობებიც გააჩნიათ და ამავე დროს გავლილი ექნებათ სათანადო პრაქტიკული მომზადება, რაც აუცილებელია კონკრეტული დავალების შესაფასებლად.

ა13. შეფასების პროცესის/მეთოდისთვის მაშინ არის დამახასიათებელი მაღალი დონის ადეკვატურობა, თუ მეთოდი ზომავს იმას, რისთვისაც არის გამიზნული. ადეკვატურობა არ არის აბსოლუტური საზომი და შეფასების სხვადასხვა მეთოდისთვის შეიძლება განსხვავებული დონის ადეკვატურობა იყოს დამახასიათებელი. ადეკვატურობა სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება და მოიცავს:

ა) აშკარა ადეკვატურობას – შეფასების მეთოდს მაშინ ახასიათებს მაღალი დონის ადეკვატურობა, თუ აშკარად ჩანს, რომ მეთოდი ზომავს იმას, რისთვისაც არის გამიზნული;

ბ) პროგნოზული ადეკვატურობა – შეფასების მეთოდს მაშინ ახასიათებს მაღალი დონის პროგნოზული ადეკვატურობა, თუ შეფასების მეთოდის/პროცესის შინაარსი დაკავშირებულია პროფესიული კომპეტენტურობის კონკრეტულ ასპექტთან, რომლის შესაფასებლადაც არის გამიზნული;

გ) შინაასობრივი ადეკვატურობა – შეფასების მეთოდს მაშინ ახასიათებს მაღალი დონის შინაარსობრივი ადეკვატურობა, თუ შეფასების მეთოდი სათანადოდ მოიცავს პროფესიული კომპეტენტურობის კონკრეტულ ასპექტს, რომლის შესაფასებლადაც არის გამიზნული.

ა14. შეფასების პროცესების/მეთოდების ადეკვატურობის ამაღლება მრავალი გზით შეიძლება, მათ შორის:

ა) თუ შესაფასებელია პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატის კომპეტენტურობა ამა თუ იმ კონკრეტული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის გამოყენების საკითხში, შეფასების მეთოდის აშკარა ადეკვატურობა შეიძლება ამაღლდეს, თუ გამოცდა მოიცავს კომპლექსურ, ამომწურავ და შესაფერის სასწავლო სიტუაციურ მაგალითს და არა მარტივ სცენარს, რომელიც არასრულყოფილ ინფორმაციას ეყრდნობა;

ბ) ლიდერობის კომპეტენტურობის შეფასებისას შეფასების მეთოდის პროგნოზული ადეკვატურობა ამაღლდება, თუ აღნიშნული შეფასება დაეყრდნობა სამუშაო ადგილზე განხორციელებულ შეფასებას იმის თაობაზე, პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს რამდენად კარგად შეუძლია გუნდის/ჯგუფის ხელმძღვანელობა და არა წერითი გამოცდის შედეგებს; და

გ) შეფასების მეთოდის შინაარსობრივი ადეკვატურობის ამაღლება შესაძლებელია, თუ გამოცდა მოიცავს შესაფასებელი პროფესიული კომპეტენტურობის კონკრეტული სფეროს ბევრ ასპექტს და არა მხოლოდ რამდენიმეს.

ა15. შეფასების პროცესის/მეთოდისთვის მაშინ არის დამახასიათებელი მაღალი დონის სამართლიანობა, თუ მეთოდი არის ობიექტური და მიუკერძოებელი. სამართლიანობა არ არის აბსოლუტური საზომი და შეფასების სხვადასხვა მეთოდისთვის შეიძლება განსხვავებული დონის სამართლიანობა იყოს დამახასიათებელი. სამართლიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს იმ შემთხვევაში, თუ შეფასების მეთოდის (პროცედურის) დამდგენ პირებს კარგად აქვთ გაცნობიერებული მიკერძოების, არაობიექტურობის შესაძლებლობები.

ა16. შეფასების პროცესების/პროცედურების სამართლიანობის ამაღლება მრავალი გზით შეიძლება, მათ შორის:

ა) შეფასების მეთოდის სამართლიანობის ამაღლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეფასება დაეყრდნობა მხოლოდ კომპიუტერიზებულ მეთოდებს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატისთვის; და

ბ) შეფასების მეთოდის სამართლიანობის ამაღლება შესაძლებელია, თუ ჩატარდება საგამოცდო მასალის მიმოხილვა, რათა მასში არ იყოს ისეთი დაშვებები, რომლებიც დაკავშირებულია კულტურულ (ეროვნულ) ცოდნასთან, რომელსაც, როგორც წესი, არ ფლობს პროფესიონალი ბუღალტრობის ყველა კანდიდატი.

ა17. შეფასების პროცესს/მეთოდს მაშინ ახასიათებს მაღალი დონის გამჭვირვალობა, როდესაც შეფასების პროცესის დეტალები, როგორიცაა შესაფასებელი კომპტენეტურობის სფეროები და შეფასების ვადები, საჯაროდ არის ცნობილი. გამჭვირვალობა არ არის აბსოლუტური საზომი და შეფასების სხვადასხვა მეთოდისთვის შეიძლება განსხვავებული დონის გამჭვირვალობა იყოს დამახასიათებელი. დაინტერესებულ მხარეთა ნათლად და გასაგებად ინფორმირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მაღალი დონის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

ა18. შეფასების პროცესების/პროცედურების გამჭვირვალობის ამაღლება მრავალი გზით შეიძლება, მათ შორის:

ა) საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელ მთელ შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით – გამჭვირვალობის ამაღლება შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებით, სადაც ახსნილია შესაფასებელი პროფესიული კომპეტენტურობის სფეროები, შეფასების პროცესის (პროცედურის) ტიპები და ამ შეფასების განხორციელების დრო საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის პერიოდის განმავლობაში;

ბ) სამუშაო ადგილზე შეფასების დროს გამჭვირვალობა შეიძლება ამაღლდეს, თუ დამსაქ-მებელი თანამშრომელს ზუსტ ინფორმაციას მიაწვდის კომპეტენტურობის იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლის მიმართაც შეფასდება თანამშრომლის კომპეტენტურობის დონე; და

გ) გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების პროცესის გამჭვირვალობა შეიძლება ამაღლდეს, თუ საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საგამოცდო

პროცესის ორგანიზებასთან, შედეგების შეფასების სისტემასა და საგამოცდო პროცესის მართვასთან.

ა19. შეფასების პროცესისთვის/მეთოდისთვის მაშინ არის დამახასიათებელი მაღალი დონის საკმარისობა, თუ (ა) მიღწეულია დაბალანსებულობა სიღრმესა და მასშტაბურობას, თეორიული ცოდნასა და პრაქტიკას შორის და (ბ) შეფასების მეთოდი აერთიანებს ცოდნის სხვადასხვა სფეროს მასალის ერთობლივად გამოყენებას სხვადასხვა სიტუაციასა და კონტექსტში. მაღალი დონის საკმარისობა ასევე უნდა ახასიათებდეს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელ მთელ შეფასების პროცედურებს ერთობლიობაში. საკმარისობა არ არის აბსოლუტური საზომი და შეფასების სხვადასხვა მეთოდისთვის შეიძლება განსხვავებული დონის საკმარისობა იყოს დამახასიათებელი.

ა20. შეფასების პროცესების/მეთოდების საკმარისობის ამაღლება მრავალი გზით შეიძლება, მათ შორის:

ა) საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის პერიოდის განმავლობაში განხორციელებული შეფასების პროცედურების საკმარისობა შეიძლება ამაღლდეს, თუ გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, რომლის მეშვეობითაც მოთხოვნილი ტექნიკური კომპეტენტურობა, პროფესიული უნარები და პროფესიული ფასეულობები, ეთიკისა და ქცევის ნორმები (მასშტაბურობა) ფასდება სათანადო დონის დეტალიზაციით (სიღრმე); და

ბ) შეფასების მეთოდის საკმარისობის ამაღლება სამუშაო ადგილზე შეფასების დროს შესაძლებელია პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებისთვის იმის მოთხოვნით, რომ მათ პროფესიული კომპეტენტურობის დემონსტრირება მოახდინონ ფართო სპექტრის პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმების მეშვეობით, რომლებიც გამოიყენება ბევრ განსხვავებულ სიტუაციაში.

შემოწმებადი მტკიცებულებები (იხ. მე-10 პუნქტი)

ა21. შემოწმებადი ისეთი მტკიცებულებაა, რომელიც არის ობიექტური, შესაძლებელია მისი დადასტურება/დემონსტრირება და შენახვა/დამახსოვრება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პროფესიული კომპეტენტურობის შეფასებამ შემოწმებადი მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება დააკმაყოფილოს მესამე მხარეთა მოთხოვნილებები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ან არეგულირებენ ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის საქმიანობას. ამგვარი მიდგომა ასევე აამაღლებს დაინტერესებულ მხარეთა ნდობას იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას დაეუფლნენ პროფესიული კომპეტენტურობის სათანადო დონეს.

ა22. შემოწმებად მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად:

ა) კურსის წარმატებით დასრულების დამამტკიცებელი სერტიფიკატები;

ბ) გამოცდების წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი რეგისტრირებული შედეგები;

გ) დამსაქმებლების დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი დაეუფლა კომპეტენტურობის სათანადო დონეს.